

მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

განხილულია აკადემიური საბჭოს მიერ ოქმი N2, 05/03/19 წ.
დამტკიცებულია რექტორის 07/03/2019 წ. N ბ/1-01/08 ბრძანებით

თავი 1. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლები

1. ზოგადი დებულებები

უმაღლესი განათლება საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ამდენად, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გატარება უსდ-ის ერთ-ერთი პრიორიტეტია. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“ (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) ორიენტირებულია შესთავაზოს სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს მობილობა, კვლევებში მონაწილეობა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ განათლების მიღება, ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. წინამდებარე დოკუმენტი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებზე პოლიტიკის ზოგად მიმართულებებს.

2. პოლიტიკის არსი

2.1. თანამედროვე უმაღლესი განათლების დაწესებულებებში ინტერნაციონალიზაციის მაღალი დონე ერთ-ერთ ძლიერ კონკურენტულ უპირატესობად არის მიჩნეული, რადგან საერთაშორისო პროგრამებსა და აქტივობებში ჩართულ უნივერსიტეტს მეტი შანსი აქვს მოიზიდოს მეტი ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტი, მეტი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ჩართოს გაცვლით პროგრამებში, იყოს ჩართული საერთაშორისო კვლევით პროექტებში და, შესაბამისად, მიიღოს მეტი სარგებელი თავისი სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებისათვის და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.¹

2.2. ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტისთვის წარმოადგენს საშულებას, ყველა მიმართულებით, საქართველოს კანონმდებლობის დაცვით, გაითვალისწინოს და დადგინოს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები. უნივერსიტეტის მთავარი ამოცანაა, მისცეს აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს საერთაშორისო გამოცდილებასთან წვდომა. ასევე შეუქმნას პირობები, რათა მათ მიერ შექმნილი პროდუქტი საერთაშორისო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყოს.

2.3. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის კომპონენტებია:

- ა. უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება;
- ბ. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში უცხო ენების კომპონენტის გაძლიერება;
- გ. უცხოენოვანი პროგრამების დანერგვა;
- დ. სტუდენტების/აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო-სასწავლო პროექტებში ჩართულობის ხელშეწყობა;
- ე. უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მექანიზმების შემუშავება/განვითარება;

¹ <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000799/Alfenidze%200-Avt.pdf>; გვ. 4.

ზ. სწავლა/სწავლების, კვლევისა და ინსტიტუციური განვითარების ახალი პერსპექტივების გაჩენა.

თ. გაცვლითი, ერთობლივი და ორმაგი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა;

ი.საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;

კ. უცხოელი პროფესორების ჩართვა სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესში;

ლ. საერთაშორისო კონფერენციების, ტრენინგებისა და workshop-ის ორგანიზება უცხოელი ტრენერების და პროფესორების ჩართულობით.

3. ორგანიზაციული სტრუქტურა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის მართვა

3.1. ინტერნაციონალიზაციის პროცესის მართვის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტში იქმნება საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური.

3.2. საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურს ხელმძღვანელობს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს რექტორი, ვიცე რექტორის წარდგინების საფუძველზე და ანგარიშვალდებულია ვიცე რექტორის წინაშე.

თავი 2. ინტერნაციონალიზაციის ძირითადი ასპექტები

4. საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განხორციელება

4.1. პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელების ხელშეწყობა.

4.2. სტუდენტის მიერ დაგროვებული კრედიტების ურთიერთადიარება.

4.3. პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორის მოვლინება უნივერსიტეტში და აკადემიური აქტივობის განხორციელება.

4.4. სასწავლო დისციპლინათა თავსებადობის საკითხები, ერთობლივი ხარისხის მინიჭება.

4.5. უცხოეთის პარტნიორი უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვისა და განხორციელების ხელშეწყობა საკუთარი აკადემიური რესურსით პარტნიორი დაწესებულების კვალიფიკაციისა და დიპლომის მინიჭება.

4.6. ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა.

4.7. ერთობლივი კვლევითი პროექტების, გამოცემების, სამეცნიერო ფორუმების განხორციელება.

4.8. უნივერსიტეტში, პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების ხელშეწყობა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და არსებულის მოდერნიზირების მიმართულებით.

4.9. საზაფხულო და ზამთრის სკოლების პროგრამების შემუშავების ორგანიზება და განხორციელება.

5. საერთაშორისო მობილობის განხორციელება

- 5.1. სტუდენტთა აკადემიური მობილობა პარტნიორ უნივერსიტეტებში კრედიტების დაგროვების მიზნით.
- 5.2. სტუდენტთა აკადემიური გაცვლითი პროგრამების განხორციელება პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის.
- 5.3. საერთაშორისო საზაფხულო და ზამთრის სკოლების ორგანიზება და სტუდენტთა მონაწილეობის ხელშეწყობა.
- 5.4. სტუდენტთა მობილობის მხარდამჭერი მომსახურებების განვითარება, უფრო მოქნილი და ადვილად ხელმისაწვდომი სისტემის შესაქმნელად.
- 5.5. აკადემიური პერსონალის მივლინება პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ლექციების წაკითხვად, სამეცნიერო პროექტების განხორციელებლად, სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობის მიღებად.
- 5.6. სტუდენტთა და თანამშრომელთა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა.
- 5.7. უნივერსიტეტის მიერ საერთაშორისო პერსონალის მოწვევა პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით.
- 5.8. უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობა და ვიზიტების ორგანიზება პარტნიორ უნივერსიტეტებში მოკლე და გრძელვადიან პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად, პროფესიული განვითარებისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკის მიღების მიზნით:
 - 1) პარტნიორ უნივერსიტეტებთან სტუდენტების მოწვევასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;
 - 2) უცხოელი სტუდენტებისთვის სრულყოფილი სერვისის შეთავაზება;
 - 3) უცხოელი სტუდენტების ჩამოსვლის პროცესთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, მათ შორის სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის გზით.

6. უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო ბაზარზე

- 6.1. პარტნიორი უნივერსიტეტების დახმარებითა და ხელშეწყობით უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროდუქტების რეკლამირების ხელშეწყობა საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე.
- 6.2. უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების სისტემატური ასახვა/განახლება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
- 6.3. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებთან თანამშრომლობით უნივერსიტეტის რეკლამირება და პროგრამებთან დაკავშირებული დეტალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

6.4. საზოგადოების განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით დაგეგმილი აქტივობების განხორციელება.

6.5. საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობა.

6.6. საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციებში უნივერსიტეტის გაერთიანების ხელშეწყობა.

6.7. ონლაინ რეკლამა, ციფრული მარკეტინგი.

6.8. სასწავლო უნივერსიტეტის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზნის თანახმად, ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა და წვლილის შეტანა საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს საგანმანათლებლო მიმზიდველობის ზრდაში და ქვეყანაში საერთაშორისო განათლების მიღების ახალი პერსპექტივების შექმნა, რისთვისაც იგი გააფართოვებს საერთაშორისო ურთიერთობებს, გააძლიერებს სასწავლო პროგრამებში უცხოენოვან კომპონენტებს, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად დანერგავს ერთობლივ პროგრამებს, ხელს შეუწყობს სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და მკვლევარების საერთაშორისო მობილობას.

7. უცხოელი პერსონალისა და სტუდენტების მოზიდვის მექანიზმები. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის და მათი ეფექტურობის შეფასება

7.1. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია უცხოელი სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის მოზიდვა. სასწავლო უნივერსიტეტმა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ფარგლებში შეიმუშავა უცხოელი პერსონალისა და სტუდენტების მოზიდვის შემდეგი მექანიზმები:

- 1) უცხოენოვანი პროგრამების დანერგვა, რომლის სწავლის შედეგები და მიღებული კვალიფიკაცია იქნება შესაბამისობაში საერთაშორისო ბაზრის კონიუქტურასა და მოთხოვნებთან;
- 2) უცხოენოვან პროგრამებში ინტერნაციონალიზაციის ხედვისა და პოლიტიკის არსებობა, რომელიც ადეკვატურად იქნება ასახული სწავლის შედეგებში და გაზიარებული იქნება ყველა ჩართული და დაინტერესებული მხარის მიერ;
- 3) სასწავლო უნივერსიტეტის ცნობადობისა და პოპულარობის გაზრდა, რაც შეიძლება მიღწეულ იქნეს საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისა და ავტორიტეტულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში პერსონალის მიერ პუბლიკაციების გამოცემის გზით;
- 4) უცხოელი სტუდენტებისა და პერსონალის მოსაზიდად სწავლის/სწავლების და ცხოვრების საუკრთესო პირობების შექმნა, რისთვისაც საჭიროა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კეთილმოწყობა, შესაბამისი პირობების შექმნა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კამპუსის არსებობა მომავალში, დამატებითი ფინანსური სახსრების/წყაროების მოზიდვა და მობილიზება;
- 5) ხარისხიანი განათლების მიღების უზრუნველყოფა;

- 6) სასწავლო უნივერსიტეტის ეფექტიანობის ყოველწლიური მონიტორინგის სისტემის დანერგვა;
 - 7) სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი ვებ გვერდის მოწესრიგება, სრული და ამომწურავი ინფორმაციის უზრუნველყოფა (სწავლის, გადასახადის, საცხოვრებელი პირობების, სხვადასხვა პროგრამების შესახებ ინფორმაციის განთავსებით).
 - 8) საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებში მონაწილეობის მიღება;
 - 9) უცხოელი სტუდენტების რეკრუტირების მიზნით შესაბამის სამსახურებთან და სააგენტოებთან თანამშრომლობა და მათთვის მასალის პერიოდულად მიწოდება;
 - 10) სპეციალიზირებულ საიტებზე და სოციალურ ქსელებში რეკლამის განთავსება;
 - 11) საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებში ორმხრივად მონაწილეობის უზრუნველყოფა;
 - 12) საერთაშორისო ფორუმების, კონფერენციებისა და პროექტების ორგანიზება მონაწილეობთან მჭიდრო თანამშრომლობისა და კონტაქტების დამყარების მიზნით;
 - 13) მუდმივი გამოკითხვების ჩატარება უცხოელი სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევასთან დაკავშირებით;
 - 14) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
 - 15) სრულფასოვანი კონსულტაციის გაწევა უცხოელი აბიტურიენტების/პოტენციური სტუდენტებისთვის და ასევე პერსონალისთვის;
 - 16) უცხოენოვანი/ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის /სახელმძღვანელოების შეძენა, თარგმანის უზრუნველყოფა და სხვ.
- 7.2. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისა და მათი ეფექტურობის შეფასების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურმა შეიმუშავა სპეციალური შეფასების ფორმა/კითხვარები (იხ. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები).

8. დასკვნითი დებულებები

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ძალაში შედის სათანადო წესით მისი დამტკიცებისა და გამოქვეყნების შემდეგ და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა განხორციელდება არსებული წესის თანახმად.